ულტრამემარჯვენე ჯგუფების გავლენა ლგბტქ+ ორგანიზაციების დღის წესრიგზე საქართველოში

ნათია ასლანოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყლებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ასლანოვა

აბსტრაქტი

უმცირესობათა უფლებებისთვის ბრძოლის საკითხს დიდხნიანი ისტორია და გამოწვევები აქვს ადამიანის უფლებათა განმტკიცების სფეროში. დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა ადამიანს, მათ შორის სექსუალურ უმცირესობათა ჯგუფის წევრებს გააჩნიათ ძირითადი უფლებები და ამ უფლებების რეალიზება მათ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა შეძლონ. საქართველო თანამედროვე დემოკრატიული მშენებლობის პროცესში ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს სექსუალური უმცირესობების ინტეგრაციასა და დაცვას, რაც ძალიან მნიშნელოვანი საკითხია ქვეყნის შიდა კონსოლიდირებისა და საერთაშორისო რეპუტაციის იმიჯისთვის. ამასთანავე ბოლო ათწლეულში ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურება სულ უფრო მზარდი და შესამჩნევი გახდა. ტრადიციების, ეროვნულობისა და „ოჯახის სიწმინდის“ დაცვის მოტივითა და ეგიდით აღნიშნული ჯგუფები ხშირად მიმართავენ ძალადობრივი აქციების ორგანიზებას, მუქარისა და დაშინების შემცველი განცხადებების გავრცელებას სოციალური ქსელების დახმარებით, აქედან გამომდინარე კი ისინი ზემოქმედებენ საქართველოში არსებული ლგბტქ+ ორგანიზაციების დღის წესრიგზე დაიცვან და გააძლიერონ ლგბტქ+ თემის წევრები, ისარგებლონ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით საჯარო სივრცეში, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება და თანასწორობის უფლება.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოში არსებული ლგბტქ+ ორგანიზაციებისა და თემის კანონით დაცული „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ უფლების სარგებლობისას ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ დამკვიდრებულ ხელშემშლელ და პრაქტიკაში განხორციელებული შემთხვევების აღწერას. ნაშრომში გაანალიზებულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების აღმოცენების, გაძლიერების ევოლუცია და განვითარება მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ცვლილებების გათვალისწინებით. ნაშრომში კრიტიკულად არის შეფასებული 2021 და 2023 წელს ულტრამემარჯვენე ჯგუფების ორგანიზებით თბილისში განვითარებული მოვლენები.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი აერთიანებს ლგბტქ+ ორგანიზაციების, თემის დღის წესრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების, დაცვის საჭიროებების გამო საპროტესტო გამოსვლების ქრონოლოგიასა და ისტორიულ კონტექსტს, სამართლებრივ ანალიზსა და რეკომენდაციებს ლგბტქ+ უფლებების დაცვის ნაწილში. დღესდღეობით, ლგბტქ+ აქტივისტებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების მკვეთრი დაპირისპირების ფონზე, საკითხი ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია, რაც ცალსახად წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიისთვის ერთგვარ გამოწვევას.

ლგბტქ+ ორგანიზაციების მიერ უფლებების დაცვის, საჯარო სივრცეში ხილვადობის გაზრდის აღწერის, ისტორიული გამოცდილებებისა და სამართლებრივი ანალიზის დახმარებით, გამოჩნდება რა დროიდან ჩნდებიან ულტრამემარჯვენე ჯგუფები თანამედროვე ქართულ რეალურ სივრცეში, რა გამოწვევების წინაშე აღმოჩდნენ ლგბტქ+ ორგანიზაციები და როდის იყო მათთვის ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი საჯარო სივრცე, რა მიდგომებია საჭირო სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელი ორი განსხვავებული და მკვეთრად შეპირისპირებული ძალების მშვიდად თანაცხოვრებისა და გაჯანსაღებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ულტრამემარჯვენეები, პოლიტიკური პარტიები, ლგბტქ+ უფლებები, ჰომოფობია, დღის წესრიგი.

Abstract

The issue of fighting for minority rights has a long history and challenges in the field of strengthening human rights. In a democratic state, all people, including members of sexual minority groups, have basic rights and should be able to exercise these rights without any discrimination. In the process of modern democratic construction, Georgia is still unable to integrate and protect sexual minorities, which is a very significant issue for the internal consolidation of the country and the image of its international reputation. At the same time, in the last decade, the activation of far-right groups has become more and more noticeable. With the motive and aegis of protecting traditions, nationality and "family sanctity", these groups often resort to organizing violent actions, spreading threatening and intimidating statements with the help of social networks, therefore they influence the agenda of LGBTQ+ organizations in Georgia to protect and strengthen the members of the LGBTQ+ community. to enjoy constitutionally guaranteed rights in public space, such as freedom of expression and the right to equality.

The present paper is about the description of the obstacles established by the ultra-right groups in the enjoyment of the right of "assembly and demonstrations" protected by the law of LGBTQ+ organizations and communities in Georgia and the cases implemented in practice. The paper analyzes the emergence, strengthening, evolution and development of far-right groups, taking into account important events and changes. The paper critically evaluates the events that took place in Tbilisi in 2021 and 2023 organized by ultra-right groups.

This master's thesis combines the chronology and historical context of protests against LGBTQ+ organizations, the demands of the community agenda, the need for protection, legal analysis and recommendations in the area of LGBTQ+ rights protection. Nowadays, in the background of sharp confrontation between LGBTQ+ activists and ultra-right groups, the issue is very relevant and important, which uniquely represents a kind of challenge for Georgia's democracy.

With the help of the description of the protection of rights by LGBTQ+ organizations, the increase of visibility in public space, and the historical-legal analysis, it will be shown since when far-right groups appeared in the modern Georgian real space, what challenges faced LGBTQ+ organizations and when public space was most accessible to them, what approaches are needed To be implemented by the state for the peaceful coexistence and healing of two different and sharply opposed forces.

Keywords: Far-right groups, LGBTQ+ rights, Political Parties, Homophobia, Agenda.